ცაგერის ა.ა.ი.პ-„კომუნალური მომსახურება“

2022 წლის ანგარიში

ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“ - ში დასაქმებულია 126 პირი. მათ შორის ქალი 63, მამაკაცი 63. ა(ა)იპ -ს 2022 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისში შეადგენდა 5300000 ლარს ხოლო წლის ბოლოს შეადგინა 636050ლარი, აქედან 467547,58 ლარი გაიცა დასაქმებულთა ხელფასებში. მათ შორის დაგვა-დასუფთავების სამსახურზე, გარე განათების სამსახურზე , მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების დაგვა -დასუფთავების მომსახურე პერსონალზე, დარაჯებზე, მოხეტიალე პირუტყვის მცველებზე, სასაფლაოების მეთვალყურეებზე და საშტატო ნუსხით განსაზღვრული სხვა მომსახურე პერსონალზე.სამეურნეო ტექნიკური ხარჯი იყო - 168413,45 ლარი. რომელიც ძირითადად გადანაწილდა საწვავ-საცხებ მასალებზე, გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაზე, ავტომანქანის მოვლა შენახვის ხარჯებზე, დაგვა დასუფთავების მატერიალური საშუალებების შეძენაზე და ოფისის ხარჯებზე (დანართიN1,დანართიN2).

დაგვა -დასუფთავება

წლის დასაწყისშის დაგვა-დასუფთავების ბიუჯეტი შეადგენდა 460000ლარს, წლის ბოლოს კი 518445ლარი აქედან სახელფასო ფონდში 417926,58ლარი,სხვა საქონელი და მომსახურებამ შეადგინა 100431,45ლარი(დანართი 1)

ქალაქის დაგვა-დასუფთავებას ემსახურება 44 მეეზოვე, ნარჩენების მართვას, შეგროვება გატანა 8 მუშა და 8 დამხმარე მუშა რომლებიც აწარმოებენ სანიაღვრე არხების გაწმენდას. ნარჩენების მართვაში დაკავებულია 3 მძღოლი.

ქალაქში დასაგველი ტერიტორიების ფართობია 104000კვ/მ . სანიაღვრე არხების სიგრძე შეადგენს 4350მ-კ. ქალაქიდან გასატანი ნარჩენების მოცულობა შეადგენს 2870 კუბ/მ-ს. სოფლიდან გასატანი ნარჩენების მოცულობა შეადგენს 1500კუბ/მ-ს.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის ქალაქისა და სოფლების ტერიტორიაზე განთავსებულია 320 ნაგავშემკრები . ქალაქის დაფარვა 100%. სოფლების დაფარვა42%. სულ მუნიციპალიტეტის დაფარვის ზონა 62%.

კონტეინერების რაოდენობა:

1. პლასმასის 1,1მ/კმოცულობის -174ცალი
2. რკინა 1,1მ/კ მოცულობის -94ცალი
3. რკინა პატარა 0,6მ/კ მცულობის --52ცალი

ამათ შორის 30ცალი 1,1მ/კ მოცულობის 2022წელს შესულია ექსპლუატაციაში და არ არის გადმოცემული მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

ქ .ცაგერში განთავსებულია: პლასმასის 1,1მ/კმოცულობის -83ცალი

რკინა 1,1მ/კ მოცულობის -24ცალი

რკინა პატარა 0,6მ/კ მცულობის --16ცალი

სოფლებში:

პლასმასის 1,1მ/კმოცულობის -91ცალი

რკინა 1,1მ/კ მოცულობის -70ცალი

რკინა პატარა 0,6მ/კ მცულობის --36ცალი.

ა(ა)იპ „ კომუნალური მომსახურება“-ის განკარგულებაშია მერიის მიერ უზურფუქტის წესით გადმოცემული საწნეხით აღჭურვილი მერსედესის მარკის 2 ნაგავმზიდი 9კუბ/მ და 13კუბ/მ მოცულობის ტევადობი,ს გამართულ მდგომარეობაში. ღია თვით მცლელი ზილ 131 რომელიც მისი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ემსახურება მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხებისა და ბორდიურების გასუფთავებას. საწნეხით აღჭურვილი ნაგავმზიდები გადაადგილდებიან მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დადგენილი მარშუტით. ნარჩენების მართვის კომპანიის მონაცემებით ნაგავსაყრელზე შეტანილია 1529ტონა (4370მ/კ) მუნიციპალური ნარჩენი. გრაფიკის მიხედვით განხორციელებულია ნაგვამზდიდი ავტომანქანების 405 გასვლა.

- ყოველდღიურ რეჟიმში სუფთავდებოდა ქ. ცაგერის ყველა ქუჩა
- იწმინდებოდა 4034 გრ/მ სანიაღვრე არხები თვეში 2ჯერ.
- ყოველდღიურ რეჟიმში სუფთავდებოდა ლადო ასათიანისა და კეჭნარის სკვერები.
- წარმოებდა ყოველდრიურ რეჟიმში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოვლა.
- გაითიბა კეჭნარის სკვერი, კეჭნარის ხეობა, გაზონები ქალაქის ყველა ქუჩაზე, საკრებულოსა და მერიის, ტურიზმის ცენტრის, მუსიკალური სკოლის, სამხატვრო გალერიის, კულტურის სახლის ეზოები და მიმდებარე ტერიტორიები.
- დასუფთავდა ზველი რაიონული საავადმყოფოს ეზო.
- შეიღება მერიისა და საკრებულოს ეზოს მოაჯირები.
- პერიოდულად გატანილი იქნა შაბათობის შედეგად შეგროვილი ნარჩენები ქულბაქის, ორბელის, ოფიტარის გზის პერიმეტრის მთელი ტერიტორიიდან.
- მოიჭრა ავარიული ხეები გაცემული ნებართვების საფუძველზე ბაზრის ტერიტორიაზე და საავადმყოფოს ეზოში.
- თვეში ორჯერ ან საჭიროებისამებრ სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის გასასვლელი ოფიტრისა და ლენტეხის გასასვლელთან მდებარე წყაროს ტერიტორიები.
- მთლიანად გასუფთავდა ხე მცენარეებისა და ნარჩენებისაგან მწვანე თეატრის მდინარის ხევი.
- საჭიროებისამებრ მოხდა სასაფლაოებიდან ნარჩენების გატანა.
- შეძენილი იქნა და დაირგო მწვანე ნარგავები მეერიის თანამშრომლებთან ერთად.
- კირით დამუშავდა შეიღება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 350 ძირი ხე.
- გასწორდა დაზიანებული ბორდიურები რუსთაველისა და კოსტავას ქუჩის პერიმეტრზე.
- დასუფთავდა ლადო ასათიანის ხეივანი.
- დაიდგა სანაგვე კონტეინერები ალპანისა და ზუბის სასაფლაოებზე,სოფ. ლაშიჭალას და გესში.სოფ. ქორენეში.

- განხორციელდა ძაღლების პოპულიზაციის ოპტიმიზაცია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
- 2021-2022 წლებში გაყვანილი იქნა ქალაქის ტერიტოირიიდა 60სული მაწანწალა ზაღლი, აქედან 99%-ი დაბირკულ მდგომარეობაში დაბრუნებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.უპატრონო ცხოველების დაჭერა იზოლაცია ევთანაზია ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე ლიცენზირებულ ინდმეწარმესთან.გატარებული ღონისძიებები სიტუაციას დადებითისკენ ვერ ცვლის.
- ყოველდღიურ რეჟიმში დაცული იქნა ქალაქის ქუჩები პირუტყვისაგან.

ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“ აწარმოებს დასუფთავების მოსაკრებელის ამოღებას, ხოლო ადმინისტრირებას ცაგერის მერია. მოსახლეობიდან ამოღების გეგმაა- 4110 ლარი. ამოღებულია- 1632 ლარი. სავაჭრო ობიექტებიდან ამოღების გეგმა 6321- ლარი. ამოღებულია 5850 ლარი. ორგანიზაციებიდან ამოღების გეგმა - 5436 ლარი. ამოღებულია - 5490 ლარი. სულ მოსაკრებლი რაოდენობა გეგმით არის 16867 ლარი. ამოღებულია 12973 ლარი. ურჩ გადამხდელთა სიები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა მუნიციპალიტეტის მერიას.

გარეგანათება

წლის დასაწყისშის გარეგანათების ბიუჯეტი შეადგენდა 70000ლარს, წლის ბოლოს კი 117605ლარი აქედან სახელფასე ფონდში 49621ლარი ,სხვა საქონელი და მომსახურებაში 67982ლარი.(დანართი 2)

ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“ ემსახურება გარე განათების ქსელს, დღეის მდგომარეობით გარე განათების ბოძების საერთო რაოდენობა შეადგენს 4092 ცალს. მათ შორის 214 ხის ბოძი. გარე განათების ქსელის საეთო სიგრძე შეადგენს 151 კმ-ს. გარე განათების ქსელს ემსახურება 9 თანამშრომელი. წლის განმავლობაში იცვლება გარე განათების ნათურების 70% -ი და სხვა ტექნიკური საშუალებების 40%-ი. (მოძველებული ქსელის გამო).

გარე განათების ქსელის განკარგულებაშია 2 ცალი ისუძუს (შეძენილია 2022წელს მერიის მიერ) და ჯაკის ტიპის ავტოკალათა.

- დამონტაჟდა პროჟექტორები ლაჯანის სპორტრულ მოედანზე.
- სპეცავტომობილი გამოყენებული იქნა განატების ბოძების შესაღებად ქ. ცაგერში.
- დამონტაჟდა ახალი ლედ განატების სანათები კოსტავას ქუჩაზე ლადო ასატიანის ხეივანსი 30 ცალი.
- მთლიანად განახლებული იქნა მწვანეთეატრის განატება.
- ავტომანქანები გამოყებნებული იქნა სადღესაწწაულო დღეებზე ქალაქის მოსართვად, ბაღების,კულტურის სახლის და მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე სხვადასხვა შესაკეთებელ სამუშაოებზე.
- საახალწლოდ დამონტაჟდა ნაძვის ხე, საახალწლო განათებები ქალაქის ქუჩებზე და სოფ. ორბელში.

- გამხორციელდა ავარიულ შეკეთებებზე ავტომანქანების 200 გასვლა.
- გამოვლენილი იქნა, ჩაიჭრა და გაფრთხილდა გარე განათების ქსელიდან ელ.ენერგიის მოხმარების 5 ფაქტი.
- 2022 წელს დაკმაყოფილდა სამუშაოზე მიღების 3 მოთხოვნა. გარე განატების ქსელის აღდგენის 15 განცხადება.
- საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით სასჯელის მოსახდელი ვადა გაიარა 4 მა მსჯავრდებულმა.
- გაფორმებული იქნა 52 ხელშეკრულება შესყიდვებზე. სესყიდვების სააგენტოდან რაიმე სენიშვნა არ შემოსულა. (დანართი N3)
- ა(ა)იპ-ის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე საჭიროა გამოყოფილი იქნესა შესაბამისი ადგილი და ფართი სადაც კომპაქტურად განთავსდება ა(ა)იპ-ის ადმინისტრაცია, ავტომანქანების ფარეხი, სასაწყობო მეურნეობა, სამრეცხაო შემკეთებელი საამქრო. შესაძენია დამატებით ნაგვის შემკრები ურნები რადგანაც ლითონის ურნების უმრავლესობა გამოსულია მწყობრიდან ხოლო პატარა ურნები ჩვენთან დამთავრებულია.

ა(ა)იპ „კომუნალური მოსახურების“ დირექტორი: /ვალერიან ხაბულიანი/

2022წელ-ში დაგვა-დასუფთავებაში გაწეული ხარჯი დანართი 1

1. სახელფასე ფონდი 417926,58 ლარი
2. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება 1000ლარი
3. მივლინება 35ლარი
4. ოფისის ხარჯი 2285ლარი =525საკანცელარიო+560კატრიჯების დატუმბვა+1200ინტერნეტის ხარჯი
5. საზოგადოებრივი ტუალეტის მოვლა შენახვა 1100ლარი
6. შეშა 750ლარი
7. სამუშაო ხელთათმანები და უნიფორმა 4829ლარი
8. მანქანების ტექნიკური დათვალიერება 100ლარი
9. საწვავ/საპოხი საშუალებები 68191,45ლარი აქედან 5000ლარის ოდენობიე საწვავი იქნა იანვრის თვისათვის
10. მანქანების რემონტი 842,5ლარი
11. სათადარიგო ნაწილები : საბურავები,რესორი აკუმულიატორი ,მაღალი წნევის შლანგი 4793,5ლარი
12. სამეურნეო საქონელი: ცოცხები ,აქანდაზები,ვედროები ,ფოცხი და სხვა სამეურნეო საქონელი 10150ლარი აქედან 7590ლარის ტენდერი.
13. მაწანწალა ძაღლების გაყვანა 2840ლარი
14. გამწვანებისთვის ნარგავების შეძენა 2765ლარი,კირი 300ლარი
15. საბუღალტრო მომსახურების 400ლარი
16. ტენდერის მომსახურების საფასური 50ლარი

წლის დასაწყისშის დაგვა-დასუფთავების ბიუჯეტი შეადგენდა 460000ლარს წლის ბოლოს 518445ლარი აქედან ხარჯმა შეადგინა 518358,03ლარს 5,15 დარჩა რესურში,81,92ლარი სახელფასე ფონდის ვალდებულებაში

2022წელ-ში გარეგანათებაში გაწეული ხარჯი დანართი 2

1. სახელფასე ფონდი 49621ლარი
2. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება 900ლარი
3. სამუშაო ხელთათმანები და უნიფორმა 1052 ლარი
4. საწვავ/საპოხი საშუალებები 15491ლარი
5. სათადარიგო ნაწილები : საბურავები,ამძრავი ღვედები 800ლარი
6. ელექტრო საქონელი ,კაბელები 48889ლარი
7. ტენდერის მომსახურების საფასური 100ლარი
8. არაფინანსრი აქტივით გასაშლელი კიბე 750ლარი

წლის დასაწყისშის გარეგანათების ბიუჯეტი შეადგენდა 70000ლარს, წლის ბოლოს 117605ლარი აქედან ხარჯმა შეადგინა 117603 ლარი 2ლარი დარჩა რესურში.